

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
და გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის პროფესორ არჩილ მოწონელიძის სახით და მეორეს მხრივ, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი“), წარმოდგენილი დირექტორის, დოქტორ ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით (შემდგომში „მხარეები“), ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ რა მხედველობაში სამეცნიერო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ რა ფიზიკის, მასალათმცოდნეობისა და სამთო ტექნოლოგიების მიმართულებებით ქართული სამეცნიერო სკოლების ტრადიციებსა და მიღწევებს, ახალგაზრდა თაობების განათლების სფეროში საუნივერსიტეტო და აკადემიური ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას,

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

წაახალისებენ ურთიერთობათა განვითარებას სამთო ტექნოლოგიების, ფიზიკისა და მასალათმცოდნეობის მიმართულებებით მეცნიერებისა და განათლების სფეროში და განახორციელებენ თანამშრომლობას ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 2

„მხარეები“ ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და განახორციელებენ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს:

„უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს:

- „ინსტიტუტის“ თანამშრომელთა შრომების პოპულარიზაციას თავად და არსებულ პარტნიორ უნივერსიტეტებში;
- „ინსტიტუტის“ მეცნიერ-თანამშრომელთა საჯარო ლექციების წაკითხვას „უნივერსიტეტში“;
- მოთხოვნების შესაბამისად აუდიტორიების, სალექციო და საკონფერენციო დარბაზების გამოყოფას ინსტიტუტის საჭიროებისათვის;
- „უნივერსიტეტის“ საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას „ინსტიტუტის“ თანამშრომელთათვის;
- „უნივერსიტეტის“ სასპორტო და კულტურის ბაზების გამოყოფას „ინსტიტუტის“ საჭიროებისათვის.

თავის მხრივ „ინსტიტუტი“ კისრულობს, რა „უნივერსიტეტისათვის“ ფიზიკის, სამთო ტექნოლოგიებისა და მასალათმცოდნეობის მიმართულებებით საბაზო სამეცნიერო დაწესებულების როლის შესრულებას, იღებს ვალდებულებას ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური ძალების სრული გამოყენებით:

- დაამყაროს სამხსრივი სამეცნიერო ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან ერთობლივი კვლევისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად;
- ითანამშრომლოს „უნივერსიტეტთან“ ფიზიკის, სამთო ტექნოლოგიებისა და მასალათმცოდნეობის მიმართულებებით ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში;

- უზრუნველყოს თითოეულ ეტაპზე „უნივერსიტეტის“ დოქტორანტი და დოქტორანტურის პროგრამა შესაბამისი სამეცნიერო ბაზით;
- მისცეს საშუალება „უნივერსიტეტის“ სტუდენტებს და პროფესორებს ისარგებლონ „ინსტიტუტის“ სამეცნიერო ბიბლიოთეკით.

მუხლი 3

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებსა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 5

ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში 2008 წლის 7 თებერვალს ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.



პროფესორი არჩილ მოწონელიძე
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის რექტორი

(Handwritten signature)

მეცნ. დოქტორი ნიკოლოზ ჩიხრაძე

გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
დირექტორი



(Handwritten signature)